ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1318441

ნომერი: AR1225523

თარიღი : 03.06.2014

გაცემის თარიღი : 09.06.2014

გაცნობის თარიღი : 10.06.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო, მდ.მტკვრის მარცხენა , სანაპიროსა დამაუდ-კამვოლის კომბინატ "საქართველო"-ს შორის, (ნაკვეთი N17/57) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ბურძენიძე პ/ნ 38001003265
- საჩხერე ს. ჭორვილა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ლანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე არსებული კლდის მოჭრის და მიწის მოსწორების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და მაუდ-კამვოდის კომბინატ "საქართველო"-ს შორის, (ნაკვეთი №17/57), შპს "სანაპირო"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №017/057) მდებარე არსებული კლდის მოჭრას და მიწის მოსწორებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882014139157 19.03.2014წ. საკადასტრო კოდი №01.13.04.017.057, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და მაუდ-კამვოდის კომბინატ "საქართველო"-ს შორის, (ნაკვეთი №17/57), შპს "სანაპირო"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №017/057) მდებარე არსებული კლდის მოჭრის და მიწის მოსწორების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ კლდის მოჭრისას დაცული იქნას მისი ჩამოშლისა და მიმდებარე ტერიტორიაზე შენობების დაზიანების თავიდან აცილების უსაფრთხოების ნორმები.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge